სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# NEWSLETTER

ყველა ყველაფერს ხედავს...

გამოცემა
2014

**N3**

www.procurement.gov.ge

# სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელობა

2014 წელს სისტემას დაემატა 215 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია, 2015 წლის მდგომარეობით რეგისტრირებული შემსყიდველების რიცხვმა 4,480-ს გადააჭარბა



# სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წლების მიხედვით რეგისტრირებული მიმწოდებლების სტატისტიკა




**2010** წლის დეკემბრიდან **2015** წლის იანვრის მდგომარეობით სისტემაში რეგისტრირებულია **20,269**-ზე მეტი მიმწოდებელი

# სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წლების მიხედვით გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა




e სისტემის მეშვეობით ჯამში გამოცხადებულია **128,196** -ზე მეტი ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

# ეკონომია

2014 წელს e სისტემის გამოყენებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაზოგილმა თანხამ 232,370,331 ლარი შეადგინა, ხოლო ჯამში 2015 წლის მდგომარეობით 811,998,531 ლარს გადააჭარბა, რაც ჯამური სავარუდო ღირებულების 13 %-ს შეადგენს



# ტენდერებში პრეტენდენტთა კონკურენციის ზრდის სტატისტიკა




საშუალო მონაწილეობის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და **2014** წელს ამ რიცხვმა **2,04** გადააჭარბა

# კონსოლიდირებული ტენდერები

- e სისტემის მეშვეობით **2014-2015** წელს გამოცხადდა **7** კონსოლიდირებული ტენდერი საწვავზე
- ჩატარდა ფიჭური კავშირგაბმულობის **2015-2016** წლის კონსოლიდირებული ტენდერი
- ჩატარდა სტანდარტული პერსონალური და პორტაბელური (სატარებელი) კომპიუტერების **2015** წლის კონსოლიდირებული ტენდერები
- **2014** წელს შეიქმნა ნავთობპროდუქციის (საწვავის) და სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური (სატარებელი) კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების ახალი წესი და პირობები

**2014** წელს კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით დაზოგილმა თანხამ **23,810,000** ლარს გადააჭარბა

# მონიტორინგი

- 10,000 - მდე „ხელშეკრულება დადებული“ სტატუსის მქონე დამუშავებული ტენდერი, რაც ხელშეკრულება დადებული ტენდერების 51 % შეადგენს
- 3,000 - მდე „ტენდერი შეწყვეტილია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, „ტენდერი არ შედგა“ სტატუსის მქონე დამუშავებული ტენდერი, რაც ზემოთ ხსენებული სტატუსების მქონე ტენდერების 33% შეადგენს
- 30,000 - მდე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის გეგმების მონიტორინგი
- მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების მიმართებაში გაგზავნილი 2000 -მდე წერილობითი შეტყობინება



# მონიტორინგი - „ამორჩევითი პრინციპით“





# მონიტორინგი - „სისტემური შეტყობინებები რისკფაქტორებზე დაყრდნობით“



# ნორმატიული ბაზის სრულყოფა



- გაჭიანურებული ტენდერების აღმოსაფხვრელად დეტალურად განისაზღვრა „შერჩევა-შეფასების“ ეტაპი და დადგინდა კონკრეტული ვადები
- მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრების ვადების დადგენის მეშვეობით - 15 დღიანი შეზღუდვა
- კონკურსის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინტეგრაციის მიზნით მიმდინარეობს იურიდიული ბაზის შექმნა

# ნორმატიული ბაზის სრულყოფა



- სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც დაიხვეწა და გამარტივდა შესყიდვის პროცედურები

- ხელახლა ჩამოყალიბდა შავი სიის წარმოებასთან დაკავშირებული ნორმები

- დაწესდა შავ სიასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა

- ახლებურად მოწესრიგდა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების პროცედურები

# შავი სია



შავ სიასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 649 გადაწყვეტილება

- შავ სიაში დარეგისტრირდა 214 მიმწოდებელი
- გაფრთხილება მიეცა 395 მიმწოდებელს
- შავ სიაში რეგისტრაციაზე უარი ეთქვა 28 სუბიექტს
- სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდით შეჩერებულია 11 საქმე

# თეთრი სია



დაიხვეწა თეთრი სიის წარმოების პრაქტიკული ასპექტებიც:

- თეთრი სიის განხილვის ფაქტობრივი ვადა 60 დღიდან შემცირდა 30 დღემდე
- თეთრ სიაში დარეგისტრირდა 65 მიმწოდებელი

# დავების განხილვის საბჭო - როგორც საზოგადოებრივი ჩართულობის ნათელი ნიმუში

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში არსებული დავების განხილვის საბჭო შედგება 6 წევრისგან. საბჭო დაკომპლექტებულია პარიტეტულ საფუძველზე, სააგენტოსა თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომად-გენელთა მონაწილეობით
- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან 2014 წლის 2 სექტემბერს შერჩეულ იქნა დავების საბჭოს 3 წევრი
- საბჭო გადაწყვეტილებებს იხილავს საჩივრის დასაშვებად მიჩნევიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რასაც თითქმის არ აქვს ანალოგი მსოფლიოში შემჭიდროვებულ ვადებში განხილვის კუთხით

# დავების განხილვის საბჭოში შემოსული საჩივრების რაოდენობა წლების მიხედვით




წინა წლებთან შედარებით 2-ჯერ არის გაზრდილი შემოსული საჩივრების რაოდენობა დავების განხილვის საბჭოში

# შემოსული საჩივრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები

*სულ შემოსულ იქნა 1156 საჩივარი*




15 დღიანი ვადის შეზღუდვით 17 საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ შემცირებული იქნა ისეთი საჩივრების რაოდენობა, რომლებიც ხელოვნურად აფერხებდნენ შესყიდვის პროცედურებს

2014 წელს შემოსული იქნა 575 საჩივარი, აქედან დაკმაყოფილდა 226 საჩივარი

# დავების განხილვის საბჭოში შემოსული საჩივრების პროცენტული მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით




**2010-2011** წლებში საჩივრების რაოდენობის უმეტეს ნაწილს **(67%)** შეადგენდა თბილისი, **2012** წლის შემდგომ გასაჩივრებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში (თვითმმართველი ერთეულების მიერ) გამოცხადებული ტენდერები.

# სასამართლო პროცესების სტატისტიკა

## დავების საბჭოს მიერ მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებები




დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან 2013 წელს სასამართლოში გასაჩივრდა მხოლოდ 14 გადაწყვეტილება, ხოლო 2014 წელს 24 გადაწყვეტილება

# სასამართლო პროცესების სტატისტიკა
# შავი სია




2013 წელს მიღებულ იქნა 252 გადაწყვეტილება, ხოლო 2014 წელს მიღებულ იქნა 649 გადაწყვეტილება

# საერთაშორისო თანამშრომლობა

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის შესახებ (DCFTA) ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების თავზე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა

DCFTA ითვალისწინებს:

- საქართველოს და ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ და ეტაპობრივ გახსნას
- ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის გახსნა დაკავშირებულია კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებასთან ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან
- შემუშავდა DCFTA განხორციელების 2014-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა
- დაიწყო საკანონმდებლო დაახლოვების იმპლემენტაციის ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის (roadmap) შემუშავება SIGMA (OECD&EU) მხარდაჭერით

# საერთაშორისო თანამშრომლობა



**შემუშავდა სამოქმედო გეგმები 4 ძირითადი მიმართულებით:**

- ანტიკორუფციული **2015-2016** სამოქმედო გეგმა
- DCFTA განხორციელების **2015** წლის სამოქმედო გეგმა
- ღია მმართველობა საქართველოს (OGP) **2014-2015** სამოქმედო გეგმა
- საჯარო ფინანსების მართვის (PFM) **2015** წლის სამოქმედო გეგმა

# საერთაშორისო თანამშრომლობა

**გატარდა ღონისძიებები და 25-ზე მეტი ანგარიში მომზადდა შემდეგი მიმართულებით:**

- ასოცირების შესახებ შეთანხმების/ DCFTA განხორციელება
- სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ანტიკორუფციული როლის გაძლიერების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; OECD შემფასებელი მისიისთვის ანგარიშების მომზადება
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები
- ENP სამოქმედო გეგმის და EaP საგზაო რუკის განხორციელება
- მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მიერ საქართველოს ვაჭრობის პოლიტიკის, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ანალიზისათვის ანგარიშის მომზადება
- აზიის განვითარების ბანკთან (ADB) თანამშრომლობა ელექტრონული შესყიდვების სისტემის შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის გაზიარების კუთხით

ASIAN DEVELOPMENT BANK

OECD
BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

# საერთაშორისო თანამშრომლობა



- **ევროკავშირისაგან საბიუჯეტო დახმარების** ფარგლებში პირობების, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრასა და მოლაპარაკებებში მონაწილეობა
- **მსოფლიო ბანკის** მისიის -კერძო სექტორის განვითარებისა და დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმართულებები - მუშაობაში მონაწილეობა; ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება და ანგარიშის მომზადება (DPOs)

# საერთაშორისო თანამშრომლობა

**SIGMA, TWINNING** ინსტრუმენტების გამოყენება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებისა და შემსყიდველი ორგანიზაციების კვალიფიკაციის გაზრდის მიზნით:

- დაიწყო SIGMA (OECD&EU) ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი, რომლიც პირველი ეტაპი უკვე დასრულდა
- შემუშავდა TWINNING პროექტის კონცეფცია, რომელიც მხარდაჭერილი იქნა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მიერ

# საერთაშორისო თანამშრომლობა




## USAID -ის G3 და EPI-ის პროგრამებთან თანამშრომლობა

- EPI-ის პროგრამის ფარგლებში, **2014** წლის **19** სექტემბერს, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო შესყიდვებში კერძო სექტორის აქტიურობის გაზრდას;
- EPI - დაიბეჭდა ელექტრონული შესყიდვების საინფორმაციო ბროშურა;
- G3 - პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა **3** ბეჭდური გამოცემა ელექტრონული შესყიდვების პროცედურების თაობაზე;



# საერთაშორისო თანამშრომლობა

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში მსოფლიო ბანკის შესყიდვების ინტეგრირება

- **2014** წელს, მსოფლიო ბანკმა აღიარა შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის უპირატესობა და მოახდინა მსოფლიო ბანკის შესყიდვების ინტეგრირება შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
- დაიბეჭდა დონორთა სახსრებით შესყიდვების ელექტრონული პროცედურების განხორციელების სახელმძღვანელო;



# საერთაშორისო თანამშრომლობა

**2014** წელს გააქტიურდა თანამშრომლობა საქართველოში წარმოდგენილ დონორებთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან:

# ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება

**2014** წელს ჩატარდა შეხვედრები საქართველოს ხუთ რეგიონში: ქვემო ქართლის, კახეთის, შიდა ქართლის, გურიის, იმერეთის და აჭარის რეგიონის, ასევე ქ. ფოთის შემსყიდველებთან.



# საინფორმაციო შეხვედრები:



- სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებთან
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებთან
- ბიზნეს სექტორთან
- საქართველოში აკრედიტებული უცხოური ორგანიზაციებთან
- სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებთან




## მომზადდა და გაეშვა ელექტრონული ჟურნალი
## **eNewsletter**

# ამოქმედდა მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი





2014 წელს ცხელის ხაზის მეშვეობით პასუხი გაეცა 9600-ზე მეტ ზარს. ჯამში 24,296 ზარს

info@procurement.gov.ge-ზე 2014 წელს შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 4,400-ზე მეტ კორესპონდენციას. ჯამში შემოსულია 15,153 კორესპონდენცია

# სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი

**2014** წელს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, საჯარო სექტორის უწყებების/ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტების გადამზადების მიზნით, შეიქმნა დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი - **სასწავლო ცენტრი**.





# სასწავლო ცენტრის მისია

- სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში დაინტერესებული პირების მომზადება
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის განმარტება და პრაქტიკაში გამოყენება
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში eProcurement დარეგისტრირება და მისი მოხმარება
- სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა
- დავების განხილვის მექანიზმების განმარტება, პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით
- სასწავლო კურსს წარმართავენ  სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასაქმებული პროფესიონალი პრაქტიკოსები








**2014** წლის ოქტომბერ-ნოემბერში სასწავლო ცენტრში ჯამში მომზადდა **92** მსმენელი **60** მუნიციპალიტეტიდან და თვითმმართველი ქალაქიდან.




ჩვენ ერთად
ვართ!

# ადამიანური რესურსები




- **2014** წელს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი 29 ვაკანსიაზე
- განაცხადი შემოიტანა 2968 კანდიდატმა, აქედან ქალი-1800, მამაკაცი-1168. სულ მიღებული იქნა 29 თანამშრომელი, აქედან ქალი-12, მამაკაცი - 17
- საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ შეადგინა კონკურსის კითხვარი, რომელსაც კომისია გამოიყენებს კანდიდატებთან გასაუბრების დროს
- შეიქმნა კანდიდატის შეფასების ფორმა, სადაც ჩამოთვლილია კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ხდება თითოეული კანდიდატის შეფასება



# ადამიანური რესურსები



- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შეიქმნა სასწავლო ცენტრი, რომელიც აგრეთვე იზრუნებს სააგენტოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე

- საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში მოხდა სრული რეორგანიზაცია, დეპარტამენტი დაკომპლექტდა ახალი კვალიფიციური კადრებით

- საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით შემუშავდა სამუშაოს აღწერილობის ახალი მოდელი, რის მიხედვითაც **2015** წლიდან იგეგმება სააგენტოს თითოეულ თანამდებობაზე სამუშაოს აღწერილობის მომზადება.

- სააგენტოში დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა -  eHRMS.

# სააგენტოს ინფრასტრუქტურის განვითარება







# სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის სრულყოფა

- შეიქმნა შესაბამისი გარემო სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დონორების სახსრებით შესყიდვის ელექტრონული პროცედურების ჩასატარებლად

- დაიხვეწა დავების საბჭოს ელექტრონული მოდული






# სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის სრულყოფა




- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, CMR და ePLAN მოდულები კიდევ უფრო დაიხვეწა და დაემატა გარკვეული ფუნქციები

- გაეშვა სააგენტოს ახალი ვებგვერდი, რომელიც გამოირჩევა მარტივი ნავიგაციით, თანამედროვე დიზაინითა და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისებით